პირობები განახლებულია
2026 წლის 10 თებერვლიდან

მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

ჩვენი მომხმარებლის (თქვენი) პერსონალურ მონაცემთა თანმიმდევრული და მაღალი ხარისხით დაცვა და უსაფრთხოება ჩვენთვის მნიშვენლოვანია

ჩვენ შესახებ

შპს "ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ" მოქმედი ბრენდით „Mycoins" (შემდგომში - „Mycoins" ან ჩვენ), არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი № 0001-9404.

საიდენტიფიკაციო კოდი: 405225439
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., N29
ვებგვერდი: https://MyCoins.ge

"ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ"-ისთვის, როგორც ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისთვის, მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას და სტრატეგიულ მიზანს.

ჩვენი კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია როგორც მომხმარებლის იდენტიფიკაციისთვის (KYC), ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით (AML), ისე მომსახურების გამართულად და უსაფრთხოდ გასაწევად.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ:

- საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობით;
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებით და რეკომენდაციებით;
- მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით და საუკეთესო პრაქტიკით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მომხმარებელმა იცოდეს:

- რა ტიპის პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ და ვამუშავებთ;
- რა სამართლებრივი და ტექნიკური საშუალებებით ვიცავთ მათ უსაფრთხოებას;
- რა უფლებები აქვს მომხმარებელს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით.

როგორ ვაგროვებთ თქვენს მონაცემებს

პირობები განახლებულია
2026 წლის 10 თებერვლიდან

MyCoins

თქვენს ინფორმაციას ვამუშავებთ კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ. მონაცემებს მოვიპოვებთ, როდესაც:

- მოგვმართავთ მომსახურებისა და პროდუქტის მიღების მიზნით (სატელეფონო კომუნიკაციისას, ონლაინ რეგისტრაციისას ან ჩვენს პლატფორმაზე ვიზიტისას);
- სარგებლობთ ჩვენი სერვისებით ან ვირტუალური აქტივების მომსახურებით;
- იყენებთ ჩვენს დისტანციურ არხებს, აპლიკაციას ან ვებგვერდსა და მის ფუნქციონალებს (მაგალითად, ჩატს).

ასევე, თქვენ შესახებ ინფორმაციას ვიღებთ საჯარო წყაროებიდან და მესამე პირებისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი ან თქვენი მკაფიო თანხმობა (მაგალითად: საკრედიტო საინფორმაციო ბიურო, შემოსავლების სამსახური და სხვა).

რა სახის ინფორმაციას ვამუშავებთ თქვენ შესახებ

გაწეული მომსახურების შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ დამუშავებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგი კატეგორიის მონაცემებს:

საიდენტიფიკაციო მონაცემები

სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, სქესი, მოქალაქეობა, ეროვნება, დაბადების ადგილი, ფოტოსურათი, ხელმოწერის ნიმუში და სხვა;

საიდენტიფიკაციო დოკუმენტები

პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა, დაბადების მოწმობა, ბინადრობის ან დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა და სხვა;

საკონტაქტო მონაცემები

იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ელფოსტა, ტელეფონის ნომერი და სხვა;

სოციო-დემოგრაფიული ინფორმაცია

სამუშაო ადგილი, პროფესია, მოქალაქეობა, განათლება, ასევე ინფორმაცია სოციალური სტატუსის/შემოსავლების შესახებ და სხვა;

ოჯახური მდგომარეობა/ოჯახის წევრებზე ინფორმაცია

ქორწინების მოწმობა, ოჯახის წევრების საიდენტიფიკაციო და დოკუმენტური მონაცემები, ინფორმაცია ოჯახის წევრების, საკონტაქტო პირების შესახებ და სხვა;

ფინანსური ინფორმაცია

პირობები განახლებულია
2026 წლის 10 თებერვლიდან

ინფორმაცია ეკონომიკური/ფინანსური მდგომარეობის, ტრანზაქციების და ანგარიშების, საკრედიტო ისტორიის და გადახდისუნარიანობის, ვადაგადაცილებების, ფინანსური პროდუქტების, შემოსავლის, ქონების, შესრულებული გადახდების და გადარიცხვების შესახებ (მათ შორის, სად და როდის განხორციელდა კონკრეტული ტრანზაქცია);

სახელშეკრულებო ინფორმაცია

ინფორმაცია ჩვენს მიერ გაწეული მომსახურებისა და მოწოდებული პროდუქტების შესახებ;

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის, ნასამართლეობის, ბრალდების შესახებ. ასევე, ბიომეტრიული მონაცემები და სხვა;

თქვენი მოწყობილობის მონაცემები

IP მისამართი, მზა ჩანაწერები (Cookies), IMEI კოდი, აპლიკაციის ლოგები, ქცევითი მონაცემები, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ და სხვა;

ჩანაწერები

აუდიო და ვიდეო ჩანაწერები;

კომუნიკაციისას მოპოვებული მონაცემები

ელფოსტით, სატელეფონი ზარით, ჩათით, სოციალური მედიის ან სხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით მოპოვებული მონაცემები;

საჯარო მონაცემები

საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია;

ჩვენს მიერ შექმნილი მონაცემები

ჩვენი მხრიდან მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის გაანალიზების შედეგად შექმნილი მონაცემები (მაგ. მონაცემები მომხმარებლის ქცევის, პრეფერენციების, რისკის რეიტინგის შესახებ და ა.შ.);

კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო მონაცემები

მონაცემები, რომელთა დამუშავებასაც გვავალდებულებს კანონონმდებლობა (მაგ. იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის, KYC-ის და AML-ის მიზნობრიობით დამუშავებული მონაცემები) და ა.შ.

პირობები განახლებულია
2026 წლის 10 თებერვლიდან

ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაძლოა შეიცვალოს ან განახლდეს. ჩვენ შეიძლება დავამუშავოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მომხმარებელი მოგვაწვდის ან რომელსაც მოვიპოვებთ საქმიანობის პროცესში და/ან სხვა ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე. ჩვენ მიერ მონაცემების დამუშავება დამოკიდებულია თქვენთან ურთიერთობის ხასიათზე და მათი მოცულობა განისაზღვრება მონაცემთა დამუშავების მიზნის შესაბამისად, მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის გათვალისწინებით.

რა არის მზა ჩანაწერები (Cookies)?

"ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ"-ის ვებგვერდითა და სხვა დისტანციური არხებით სარგებლობისას ჩვენ ვაგროვებთ ე.წ. მზა ჩანაწერებს (Cookies), რაც გულისხმობს თქვენი მოწყობილობის ოპერაციული სისტემის ვერსიის, მოდელის და სხვა უნიკალური იდენტიფიკატორების, ასევე ვებგვერდზე გატარებული დროის, ონლაინ ნავიგაციის, თქვენი ლოკაციის, გამოყენებული ენის და სხვა მონაცემების დაფიქსირებას.

მზა ჩანაწერების მეშვეობით ვცდილობთ გავიგოთ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს ვებგვერდს და, შესაბამისად, გავაუმჯობესოთ თქვენი გამოცდილება: გავამარტივოთ ვებგვერდზე ნავიგაცია, მოგიმზადოთ თქვენზე მორგებული შეთავაზებები, გავაუმჯობესოთ ძებნის ფუნქციონალი, ვებგვერდის დიზაინი და მოვერგოთ თქვენს საჭიროებებს.

ჩვენს არხებში ვიზიტისას თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ მზა ჩანაწერების გამოყენებას და თქვენი სურვილის შესაბამისად მართოთ მათი გამოყენების მიზნობრიობა. მაგალითად, შეგიძლიათ დაეთანხმოთ მხოლოდ აუცილებელ Cookie-ებს და არ დაეთანხმოთ მათ გამოყენებას ანალიტიკური ან/და მარკეტინგული მიზნებით.

პირდაპირი მარკეტინგი

ჩვენი სურვილია, უზრუნველვყოთ თქვენთვის არჩევანის შესაძლებლობა თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგისა და რეკლამირების მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით.

შპს "ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ" უფლებამოსილია, დამოუკიდებლად ან დამუშავებაზე უფლებამოსილი და/ან დაკავშირებული პირების მეშვეობით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, დაამუშაოს თქვენი საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო, ფინანსური და სხვა კატეგორიის პერსონალური მონაცემები იმ მიზნით, რომ ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, ვებპლატფორმის, მობილური აპლიკაციის ან/და სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით განახორციელოს თქვენთვის ვირტუალური აქტივების მომსახურების, პროდუქტის, აქციების და სხვა შეთავაზებების მიწოდება (პირდაპირი მარკეტინგი).

პირობები განახლებულია
2026 წლის 10 თებერვლიდან

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა სავალდებულო არ არის. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს თქვენი თანხმობა, კომპანია მოკლებული იქნება შესაძლებლობას, გაგიწიოთ თქვენზე მორგებული შეთავაზებები აღნიშნული არხებით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენ ხართ ჩვენი არსებული ან პოტენციური კლიენტი იურიდიული პირის წარმომადგენელი, ხელმძღვანელი ან მასთან ასოცირებული პირი, კომპანია უფლებამოსილია დაამუშაოს თქვენი მონაცემები იურიდიული პირისთვის მომსახურების გაწევის, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით.

როდესაც თქვენ ეთანხმებით პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის თქვენი მონაცემების დამუშავებას, ეს გულისხმობს, რომ ეთანხმებით შემდეგი შინაარსის ტექსტს:

მე, მონაცემთა სუბიექტი, თანახმა ვარ, რომ შპს ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ -მა (შემდგომში მოხსენიებული როგორც ,,მაიქოინსი'') პირდაპირი მარკეტინგის მიზნით და ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის გამოყენებით დაამუშავოს ჩემი პერსონალური მონაცემები, როგორიც არის საკონტაქტო, საიდენტიფიკაციო, ტრანზაქციული, ფინანსური, სოციოდემოგრაფიული, ინტერაქციული, გეო-ლოკაციის მონაცემები. მე ვაცნობიერებ, რომ ეს მოიცავს შემდეგს და ხორციელდება შემდეგნაირად:

- მაიქოინსში მიმდინარე/დაგეგმილი აქციებისა და შეთავაზებების შესახებ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია, მოიცავდეს ინფორმაციას როგორც უშუალოდ პროდუქტ(ებ)ის, ასევე ამ პროდუქტებთან დაკავშირებული, პარტნიორი კომპანიების მომსახურების/შეთავაზების/აქციის შესახებ;

- მაიქოინსის მიერ მარკეტინგული შეთავაზება შესაძლებელია განხორციელდეს მაიქოინსისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი საკომუნიკაციო არხ(ებ)ის საშუალებით, მათ შორის (და არა მხოლოდ) მაიქოინსის მომსახურების არხ(ებ)ში (პირადი კაბინეტი, აპლიკაცია, ვებ საიტი) შეტყობინებით, კლიენტის საკონტაქტო სატელეფონო ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სატელეფონო ზარის განხორციელებით, ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით;

- ჩემი მხრიდან გაცხადებული თანხმობა არის უვადო, თუმცა უფლება მაქვს, ნებისმიერ დროს გამოვითხოვო თანხმობა და მოვთხოვო მაიქოინსს პირდაპირი მარკეტინგის (სარეკლამო) მიზნით ჩემი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, ელექტრონულ ფოსტაზე: info@emoney.ge, ქოლცენტში 032 242 46 46 ან ოფისში შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებით;

- მაიქოინსი ვალდებულია, ჩემი სათანადო მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში შეწყვიტოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით შესაბამისი

მონაცემების დამუშავება, რის შემდეგაც არ მივიღებ მაიქოინსის შეთავაზებებს მის სერვისებთან და პროდუქტებთან დაკავშირებით;

- პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა ნებაყოფლობითია და თანხმობის გაცემა არ წარმოადგენს მაიქოინსის მიერ ჩემთვის მომსახურების გაწევის სავალდებულო წინაპირობას;
- თანხმობის გაცემით მაიქოინსი შეძლებს პროდუქტების, სერვისების, სხვადასხვა აქციების შეთავაზებას, თუმცა თანხმობა არ მავალდებულებს მაიქოინსის მომსახურებით სარგებლობას;
- თანხმობის გამოთხოვის ან/და უარის შემთხვევაში ვაცნობიერებ, რომ მაიქოინსი მოკლებული იქნება შესაძლებლობას მაცნობოს მიმდინარე აქციების, პროდუქტების და სხვა სერვისების შესახებ ინფორმაცია.

უარის თქმა პირდაპირ მარკეტინგზე

თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ უარი თქვათ პირდაპირ მარკეტინგზე და მოითხოვოთ თქვენთვის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა — ელექტრონული ფოსტით, მობილურ ტელეფონზე ან სხვა ელექტრონული საშუალებით. ამისათვის შეგიძლიათ ისარგებლოთ შესაბამისი უარის თქმის მექანიზმებით (SMS off, unsubscribe და სხვა), დაგვიკავშირდეთ ელ ფოსტაზე ან ცხელი ხაზის ნომერზე: +995 032 242 00 00.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და თქვენ არ შეგიძლიათ მოითხოვოთ სარეკლამო ან საინფორმაციო მასალის მიწოდების შეწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ ისინი გეძლევათ უშუალოდ მომსახურების წერტილებში (მაგალითად: სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება) ან კომპანიის მიერ კონტროლირებად დისტანციურ არხებში (მაგ. ვებპლატფორმა, აპლიკაცია და სხვა).

ასევე გაცნობებთ, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის ელექტრონული კომუნიკაციები. სხვა ტიპის საკონტაქტო კომუნიკაცია გაგრძელდება თქვენი და კომპანიის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ საკითხებზე — მაგალითად, ტრანზაქციებთან, დავალიანებასთან ან მომსახურების პირობების ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაწოდებლად.

რა მიზნით ვამუშავებთ მონაცემებს?

პირობები განახლებულია
2026 წლის 10 თებერვლიდან

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის და მიზნის შესაბამისი მოცულობით:

- თქვენთვის ვირტუალური აქტივის მომსახურების გასაწევად (ტრანზაქცია, გადახდა, გადარიცხვა და სხვა ოპერაციები);
- ვირტუალური აქტივების მომსახურების ან/და პროდუქტის შესათავაზებლად და გასაუმჯობესებლად;
- კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მარეგულირებელი ან/და საზედამხედველო ორგანოებისთვის მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- სხვადასხვა ანგარიშების, ანალიტიკური მონაცემების, კვლევების ან/და რეპორტების მოსამზადებლად;
- მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საფრთხეების პრევენციისთვის;
- ჩვენი საკანონმდებლო ვალდებულებების შესასრულებლად, რაც, მათ შორის, მოიცავს თაღლითობის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის პრევენციის, გამოვლენასა და აღკვეთის მიზნებს;
- კომპანიის ან სხვა პირების უსაფრთხოებისა და საკუთრების დასაცავად;
- კომპანიის მიერ შეტყობინების გასაგზავნად ან ჩასაბარებლად;
- კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად, აგრეთვე თქვენ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით;
- მარკეტინგული მიზნით — რაც გულისხმობს თქვენი თანხმობით, პერიოდულად ვირტუალური აქტივების ახალი პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზებას, მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვას და განხორციელებას;
- კომპანიის ლეგიტიმური ინტერესის ან/და სამართლებრივი უფლებების დასაცავად.

ჩვენ არ ვამუშავებთ მონაცემებს თქვენი თანხმობის გარეშე სხვა ისეთ მიზნებისთვის, რომლებიც შეუთავსებელია მათი დამუშავების თავდაპირველ მიზანთან.

რის საფუძველზე ვამუშავებთ მონაცემებს?

მონაცემების დამუშავების საფუძველია:

- თქვენი კონკრეტული, მკაფიო და ნებაყოფლობითი თანხმობა;

- კანონით/კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- თქვენთან ხელშეკრულების დადება ან არსებული ხელშეკრულების შესრულება;
- თქვენთვის ვირტუალური აქტივების მომსახურების გაწევა ან თქვენი განცხადების განხილვა;
- კომპანიის ან მესამე პირების კანონიერი ინტერესების დაცვა;
- მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

ვიდეოსათვალთვალო სისტემა გამოიყენება დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ თქვენი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ხოლო ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია უსაფრთხოებისა და საკუთრების დასაცავად, ასევე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.

რა შემთხვევაში ვაზიარებთ თქვენს მონაცემებს?

მესამე პირებთან ინფორმაციის გაზიარება ხდება კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან/და კანონით განსაზღვრული სხვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას.

თქვენი მონაცემები შესაძლოა გავუზიაროთ:

- თქვენს კანონიერ წარმომადგენელს;
- გარიგების მონაწილე მხარეებს;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ ორგანოებს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მიზნით;
- საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს;
- სადაზღვევო კომპანიებს;
- მომსახურების პროვაიდერებს, მათ შორის, ჩვენს გარე აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩევლებს, საკურიერო და კვლევით ორგანიზაციებს, IT სერვისის მომწოდებლებს (მაგალითად, ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის სერვისები) და სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე პირებს;

- ფინანსურ ორგანიზაციებსა და გადამხდელ სისტემებს (მაგალითად, შუამავალ ბანკებს საერთაშორისო გადარიცხვებისას, გადახდის სისტემების პროვაიდერებს, ბლოკჩეინის პლატფორმებს და ა.შ.);
- ჩვენი ჯგუფის კომპანიებს;
- სხვა მესამე პირს თქვენი თანხმობით.

სხვა ქვეყნებში თქვენი მონაცემების გაზიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და შესაბამის ქვეყანაში უზრუნველყოფილია მონაცემების და უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.

თუ თქვენს მონაცემებს გადავცემთ ისეთ ქვეყანას, სადაც არ არსებობს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, შპს "ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ" გააფორმებს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად და მოიპოვებს მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვას ან/და თქვენს თანხმობას.

პერსონალური მონაცემების გადაცემამდე, ჩვენ ვამოწმებთ, მიღებულია თუ არა მესამე მხარის მიერ მონაცემთა დასაცავად შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები.

თქვენს მონაცემებს მესამე პირებს არ გადავცემთ, თუ მათი საქმიანობიდან ან/და მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს მონაცემთა არამიზნობრივი დამუშავების ან თქვენი უფლებების შელახვის მაღალი საფრთხე.

როგორ ვიცავთ მონაცემების უსაფრთხოებას?

თქვენს მონაცემებს კანონმდებლობის შესაბამისად ვინახავთ და მათ დასაცავად უზრუნველვყოფთ ფიზიკურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ გარანტიებს - ვიცავთ ჩვენი ელექტრონული მოწყობილობების, ფაილების, შენობის უსაფრთხოებას, გვაქვს ფიზიკური, ელექტრონული და პროცედურული კონტროლის მექანიზმები, რათა თავიდან ავიცილოთ თქვენს მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომა, გამოყენება, გადაცემა, დაკარგვა ან განადგურება.

ჩვენი თანამშრომლები იცავენ მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პოლიტიკებს, პროცედურებს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესაბამისად.

რა ვადით ვინახავთ თქვენს მონაცემებს?

პირობები განახლებულია
2026 წლის 10 თებერვლიდან

MyCoins

მონაცემებს ვინახავთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების შესაბამისად — მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი დასრულებიდან 15 წლის ვადით, ან იმ ვადით, რაც აუცილებელია დამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

თქვენი უფლებები და ვალდებულებები

თქვენ გაქვთ უფლება:

- მიიღოთ ინფორმაცია, რა მონაცემები მუშავდება თქვენ შესახებ, მათი დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, ასევე მონაცემთა შეგროვების წყარო და გადაცემა;
- გაეცნოთ თქვენ შესახებ შპს "ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ"-ში არსებულ მონაცემებს და მიიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების/ჩანაწერების ასლები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- მოითხოვოთ მცდარი, არაზუსტი და არასრული მონაცემების ჩასწორება, განახლება და შევსება;
- მოითხოვოთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;
- მოითხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა;
- ნებისმიერ დროს თქვათ უარი თქვენ მიერ გაცემულ თანხმობაზე პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ და მოითხოვოთ მის საფუძველზე დამუშავებული მონაცემების წაშლა;
- მოითხოვოთ თქვენ მიერ შპს "ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ"-ისთვის მიწოდებული პერსონალური მონაცემების პორტირება — ანუ სტრუქტურიზებული ფორმით მიღება ან მათი სხვა დამმუშავებლისთვის გადაცემა;
- მოითხოვოთ ადამიანური რესურსის ჩართულობა ავტომატიზირებული საშუალებებით გადაწყვეტილების მიღებისას;
- თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოთ შპს "ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ"-ის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

თქვენი უფლებების შეზღუდვის საფუძვლები

თქვენი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ მათი რეალიზაცია საფრთხეს უქმნის:

- სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას ან მართლმსაჯულებას;
- ქვეყნის ფინანსური ან ეკონომიკური, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული ან ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- თქვენი ან სხვების უფლებებსა და თავისუფლებებს;
- სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
- სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

უფლებების შეზღუდვის ზომას შპს "ნიუ დიჯითალ თექნოლოჯიზ" იყენებს მხოლოდ შეზღუდვის მიზნის ადეკვატურად და პროპორციული მოცულობით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი: ვებ-გვერდის მისამართი: www.nbg.gov.ge, მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო სანაპიროს ქუჩა № 2
გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიმართოთ Mycoins-ის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, თამთა კეთილაძეს
ელ. ფოსტაზე: PDP@Mycoins.ge
დამატებით, თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ Mycoins-ის ცხელ ხაზს 24 საათის განმავლობაში ნომერზე – ++995 032 242 00 00

თქვენი მოთხოვნა განიხილება და პასუხი გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.

ცვლილებები

პირობები განახლებულია
2026 წლის 10 თებერვლიდან

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში ცვლილებები თარიღის მითითებით აისახება ჩვენს ვებგვერდზე.